ოქმი N 1

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი **2016 წლის 22 მარტი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლაშა ცატავა
2. როსტევან გვარამია
3. ვასილ კუკავა
4. მერაბ ფილიპია

სხდომას თავმჯდომარეობდა **ლ. ცატავა** - კომისიის თავმჯდომარე

მოწვევით:

საკრებულოს თავმჯდომარე - **ედიშერ ჯობავა.**

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - **მამუკა ქარდავა.**

საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - **ნუგზარ შუშანია.**

საკრებულოს საფინანსო -საბიჯეტო კომისიის თავმჯდომარე **-ტარიელ ალექსანდრია;**

საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - **გოჩა სიჭინავა.**

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - **დოდო გაბუნია.**

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე- **ლევან ქავთარაძე.**

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე – **მალხაზ ლაგვილავა.**

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე - **თენგიზ აბაკელია.**

საკრებულოს ფრაქცია „ხობის“ თავმჯდომარე - **ვასილ კუკავა.**

საკრებულოს ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარე - **როსტევან გვარამია.**

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 9 მარტის 03/ 643 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.)

(მომხსენებელი : ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 9 მარტის 03/ 643 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.)

(მომხსენებელი : ზ. ბუკია -ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურ მიერ 2015 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში (ოქმს თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: ე . ჯობავამ, მ. ქარდავამ, მ. ლაგვილავამ მათ გამოთქვეს შენიშვნები საკრებულოში განსახილველი პროექტების დროულად წარმოდგენასთან დაკავშირებით. მათივე წინადადებით, რაც შეეხება მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობას, აუცილებელია მოსახლეობის სრული ინფორმირება, ამ მიზნით გამოითქვა მოსაზრება საინფორმაციო ბუკლეტების დაბეჭდვის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ ლ. ცატავამ შეაჯამა წარმოდგენილი ანგარიში და აღნიშნა, რომ სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა, მიუხედავად მცირეოდენი შენიშვნებისა მისი აზრით დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვით, მან ანგარიში შეფასებისთვის კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:

არადამაკმაყოფილებელი - 0

დამაკმაყოფილებელი - 0

დადებითი - 4

დაადგინეს: ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მუშაობა შეფასდეს დადებითად

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლ. ცატავა